

თეატრი

№ 40

საყოველ-კვირბა სალიტერატურო და სასხატურო გაზეთი.

№ 40

5 ლინოზონი

გაქონიყვა ყოველ კვირაობით

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთს წლით... 5 მან. Xსსკეარ წლით ... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კასტრასაში ან წერეთლის ქუჩაში. თბილისში ბ-ნი ბესარიას კაფეში და კასტრასაში.

ცალკე ნუმერი გაზეთი „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ასყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-რაზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში: ქილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექტივები, ლექსები და სხვა წერილი წერილები თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდება.

რედაქცია უპირჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით აყენენ დაწერილი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქციან არ კის-რულობს.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлис. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галлерей быв. Арцруни № 110.

ქართული თეატრი

კვირას 5 ღვინობისთვის

„ქართლი დრამატული საზოგადოების და სისაგან წარმოდგენილი იქნება არწრუთისეულ თეატრში:

I

გედნიაჩი დღე

კომედია სამს მოქმედებად, ოსტროვსკის და სოლოპოვისა.

II

ზინბაზი

კომედია ერთს მოქმედებად, ა. ცაგარდისა.

III

დივერტისმენტი

ლექსებისა და სცენების კითხვა.

მოთამაშესა: ქქ. გაზუნია, საფ-საშვიძის, ჩეკქე-

ზიშვილისა, მელიქოვისა; ბბ. საშვიძე, აწურელი, ალექსე-სე-მესხივე, გუნია და სსგ.

დასაწყისი სწორეთ 7 1/2 საათზე.

ქართული თეატრი

წარსულს კვირას ქართ. დრამ. საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იყო ავ. ცაგარელის 3 მოქმედებიანი კომედია—ფარსი სასუნა და მეოთხე მოქმედება—დრამიდამ ფამარ ბატონიშვილი, ბ-ნი კოტე ყიფიანის მონაწილეობით. ავ. ცაგარელი და მისი პიესები საკმაოდ ცნობილია ჩვენს მწერლობაში და საზოგადოებაში. სასუნა არის უკანასკნელი პიესა, რომელშიაც ნათლად მოჩანს ყველა ნაკლი და ღირსება პატრიარქის დრამატურისა. როგორც კომედია, სასუნა სრული არ არის, ეს ავტორს ჩვენზე კარგათ უგზოვნია და მაგიტიომაც კომედია-ფარსად მო-

უნათლავს თავისი თხზულება. როგორც წინეთ
 ესტქეთ სხანუმა უკანასკნელი ნაწარმოებია ბ-ნი ავ.
 ცაგარელისა და, ვგონებთ, შეცდომა არ იქნება ესტქეთ,
 რომ ამ პიესის შემდეგ შესაძლოა პატივცემული დრა-
 მატურული დაადგეს სულ ახალ გზას, ესე იგი, აგებუ-
 ლობა ფერი, კილო, დი მანერაც შეუცვალოს თავის
 აწანდელ დამომავალ ნაწარმოებთ. ეს მით უფრო
 საფიქრებელი აოის და მოსალოდნელიც, რომ ავ.
 ცაგარელმა სხანუმი თითქმის დაასრულა პიესების ტიპი,
 იმიდთანა როგორც მაგალითად არის თვითონ სხანუმა,
 სხათხალა სუნდუკიანცისა და სხენი.

წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა, განსაკუთრე-
 ბით კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები ნ. გა-
 ბუნია—ცაგარლისამ, მ. საფაროვ-აბაშიძისამ, ვ. აბა-
 შიძემ და კოტე ყიფიანმა. არ იყო ურიგო აგრეთვე
 ივ. ცაგარელი, ამ ახალგაზნად არტისტს, თუ შრომას
 არ დაიზარებს, თამამად შეუძლიან თავის ამბოლად
 აირჩიოს ბებერი რეჟონიორის როლები. გაბედვით და
 ალაგ-ალაგ ცადნითაც თამაშობდა თავის როლს ლ.
 ჩერქეზიშვილისა. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე
 ვ. მელიქოვისა, ვ. მესხივე და მ. მძინაროვისა—ამათ
 წყალობით პიესის ანსამბლი, მომქედნი პირთ ურთ-
 ერთი თანხმობა, საუცხოვოდ მიდიოდა... კ. მაქ-
 სიმიდეს ხანდისხან გლეხური კილოსათვის რომ არ
 ელაატნა, ცუდს ვერაფერს ვიტყვით. მის თამაშობაზე.
 ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ საყურადღებო ის
 არის, რომ ჩენი მალაწოდების საზოგადოების ქა-
 ქანიც არ იყო თეატრში. რა მიზეზია? უფულობა?
 არა ვგონია...

ქართულ თეატრში დღეს წარმოდგენილი იქმნება
 ბედნიერ დღე სამ მოქმედებიანი კომედია სოლოვი-
 ივისა და ოანბაზი ვოდვეილი ავ. ცაგარელისა.
 ვალიკო—ია

ფელეტონი
ლემური სიმღერა
 შეთე და ნაიბი.

მზე ჩამავალი დაღესტნის
 მთებს სხივებს ანაცვალავდა,
 ჭჭროდა ნიაჟი და შორით
 მდინარე მოკვლავლავდა;
 დადოებისა ნაიბის
 ცოლი მის გადსტჭროდა,
 ხან ეღვეოდა მწარე ფიჭოს,
 ხან გულ-მოკვლავლავდა მღეროდა:

„გუშინ მერა მოხდა მიწისა,
 მთებმა გუგუნი შეჭქნესო:
 ამბობენ, თურმე ნაიბი
 შესტაკება შეთესო!
 შებმა ჩემი აფთარი
 თუშის უშიშარ ღამისაო
 და დედა მიწა შეუძრავს
 მათს თავ-განწირულ ომსაო.
 შეუწიდან ორი ვაჟ-ვაჭი,
 შეჭხლია ფოლად ვაჟიო
 და აკრძნებულა მათ ჩსუბსკედ
 ომის აღმური მთაშიო.
 დღემდისაც ისმის ყოველ მსრფოთ
 მწარე გუგუნი მთებისო
 და მოსჩინს ელვად ზეტსკედ
 შუქი იმთის სმღებისო!..
 შეჩერდი, შეთვე შეჩერდი!
 გუბრალბოდეს ნაიბი!..
 ნუ ცხარობ შენცა, ნაიბო,
 დაწენარდი, გული დაიბი!..
 შეთე ღომისა გაგს, ნაიბო,
 ველში საომრად გასულსა!
 აგიყვანს, გლდუზე მიგახლის,
 დაგალეკინებს წამს სულსა!
 შეთვე! ვეფხვსა გაგს ნაიბიც,
 გულ-გახელებულს, ოგ-სმალსა!
 ისეგუბეს, ხანჯალს მეკრდში გკრავს,
 გერც თვალს მოასწრებ, გერც სმალსა!..
 ცახელი.

პრიტიკა და გიგლიოგრაფია
 წერილი რედაქტორთან

მ. ხ. ბ. რედაქტორო! გიტყვებით, — ჩემი აწინ-
 დელი მდგომარეობა აუტანელია: ჟამთა-ვითარებამ
 მე მომწვეტა იმ წრეს, იმ ნიადაგს, რომლის მუშა-
 კადაც მე სიყმაწვილით ვამზადებდი ჩემს თავს. საყვე-
 დურს და ვისი ბრალიას გამოკვლევას ეხლა ვერ
 შეუდგებით. ფაქტი ფაქტად რჩება და ყველასათვის
 ცხადია, რომ მე დღეს იაბულგბული ვარ სხვა წრე-
 ში და სხვა ნიადაგზედ ვიმუშავო. მაშასადამე, ეს
 ისარიც უცხო ბანაკილამ უნდა მეტყუორცნა ჩემი მე-
 ტოქესათვის, მაგრამ განსხვავებული შემთხვევა მაი-
 ბულებს ერთს წამს შემიხიზნოთ. საკამათო საგანად

მე და ჩემს მოწინააღმდეგეთ, როგორც მოგეხსენებათ, გაგვიხდა უკედავი შოთას ქმნილების ერთი ალაგი. რუსული გაზეთის მკითხველებისათვის არც იმდენად საინტერესოა ეს საგანი, არც მოსახლენებელია ამ საგანზედ ბრძოლა იმ განსხვავებული იარაღით, რომელიც მე და ჩემს მეტოქეთ ზელოთ გვაპირია და, ლეთის წინიშე, კიდევ მეთაკილება, რომ ჩვენი სისულელე ამანზედ მეტად უსჯობთ შევატყობინო. ამისათვის განმეორებით გთხოვთ ყოველივე გრძნობა და ანგარიში ჩემდამი დასძლიოთ და ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოველაპარაკო ჩემს უტნობს, მაგრამ მეტად ქინჯულიანს და თავხელი სიამაყით თავგამოდებულს მეტოქეს ისევე და ისევე შოთას «ხელობის» გამო. პირობას ესდებ მთელი მკითხველი საზოგადოების წინაშე, რომ ამის მეტად არ შევაწუხოთ ჩემი წერილებით.

ჩემის ფიქრით, ვაჟ-კაცი მარტო ის არ არის, ვინც თავის მეტოქეზე გაიმარჯვებს; არა ნაკლები ვაჟ-კაცი არც ის არის, მეტოქეს გავეცლება და თავს სამარცხენო დამარცხებისაგან დაიხსნის ამაზედ თვით შოთა შემოწმება: «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კაცისა მამაცისაგან!» ეხლანდელებს სჩანს, როგორც სხვაფორმაც. ისე ამ შემთხვევაშიაც ჩვენის დიდებულის პოეტის მცნება და გვეწყება. იმ წერილის შემდეგ, რომელიც მე «ჩოგოე ობოზრენიაში» ვუძღვენი ბ. ან. ფურცელაძის კრიტიკულს სიბრძნეს და მისი მეტოქის არა ნაკლებ ღრმა მოსახრებას, მგონია, უკეთესს ვერას მოისარებდნენ, რომ ენა მოეცნით და ჩაჩუმებულიყვნენ. როდესაც ვსწერდი მაშინაც ვგრძნობდი და ეხლაც ვაღიარებ, რომ მე ან. ფურცელაძეს და მის მოწინააღმდეგეს შეაკრად მოვეყარი, მაგრამ განა ამისათვის გამამტყუნებს ვინმე? ყოველს კაცს აქვს ის წმიდა წმიდათა, რომლის შემბლაღესაც ის გულგრილად ვერ მოექცევა. თვით ქრისტემ ჯოხით გამოარეკა იერუსალიმის ტაძრის ეზოდან ზარაფნი და მეტრედენი. არიან იმისთანა სქელ ტყავში გახვეული ვაჟ-ბატონებიც, რომელზედაც ცხელი მათრახიც არ მოქმედობს, თორემ დარბაისლური მსჯელობით და ხმელი ლოგიკით ხომ სულ ვერას გააწყობ. დასამტკიცებლად ამისა გთხოვთ გალიკითხვით «თეატრის» პირველი წერილი მე 37-ში, რომელიც მე გუშინ გავიცანი. ჩემს წერილში არც ავტორის ვინაობა მქონდა მოხსენებული, არც გაზეთის სახელი და მე ძრიელ მივიჩნის, რომ ეს ვილაც

ვაჟ-ბატონი „მეობით“ მელაპარაკება და თავი კი სირაქლემასავით ქვიშაში წაუყვია. მე შემძლიან ამ ბატონს იგივე ეუთხრა, რაც სპილომ ბუზს. ერთის სიტყვით, არ ვიცი ვინ ბრძანდება ესე ამაყად ბრძოლის ველზედ გამოსული ბაღბის ღეროს შეილდარით ხელში, მაგრამ უსუსურს ლოგიკაზედ, ყაფაზაში ჩასმულს მარტიასებურ ენაზედ და სხვ. კი ცხადად ეტყობა, რომ ვილაც თავ-გასული ბავშვი უნდა იყოს. აშნაირი გაწიწმაცების და ქუთის დაბნევის მიზეზში მგონია იგივე უნდა იყოს, რამაც ერთხელ გააწიწმატა მოსკოვში ერთი ჯავახიშვილი, რომელსაც დავთ გურამიშვილი ესრე გვიხატავს:

„ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ
 ცუდსა,
 პირად ხმელსა, ულაზათოს, ვით ნუჭირან კუნ-
 ძსა მრუდსა.
 რაც მე უთხარ, მას მოედვის ვით ნარ-ცეცხლი
 უქან კუდსა.
 ზოგჯერ ისრე იმწეიტინის-კოტით ძირს დასცემ-
 დის ქუდსა!“

ავტორი იქილამ იწყობს, რომ ჩემს „თეატრის“ თანამშრომლობაზედ ზელოს აღებას თავის მკითხველებს არა ჩემ სასარგებლოდ უთარგმნის. მე «თეატრს» თავი დავენებ მას შემდეგ, რაც მისმა რედაქტორმა დროებით სხვას ვაზდაცა და მასში დაიბუღეს რაღაც კოლომბა და კრახანებმა. თუ მე ვსტყუოდე, დამისაწლონ როდის მივმართე და „თეატრის“ ახალმა გამგებლებმა დაიწყეს ჩემი ნაწერე? მადლობა დმერთს, რომ ჩემი თავდანება საკეთალო ყოფილა „თეატრისათვის“ რადგანაც მის მკითხველებს „ფურცელასავით უყრიათ,“ ჩემ შემდეგ. შეიძლება, ზ. ქიქინაძე რომ თანამშრომლად მიიწვიონ; მაშინ „თეატრის“ მკითხველი ქინჯველასავით დაედენენ, მაგრამ, თუ არ ვეპოისხავთ, ამის პასუხად აი რას მოგახსენებთ. საპოლიტიკო მეცნიერების (ამისთან მეცნიერებაც ვახლავსთ, „თეატრის“ ახალ ბურჯო!) ერთი ქვეშაირიტება ამაზობს: ყველა ხალხი იმ მწერლობის ღირსია. რომელიც მას ჰყავს. ეს ქვეშაირიტება შეიძლება პირდაპირ ლიტერატურაზედ გადმოვიტანოთ და ასრე ეთქვათ: ყოველი საზოგადოება იმ ლიტერატორების ღირსია, რომელნიც მას ჰყავს! მერწმუნეთ, რომ ექტორ ჭიუჯო მიკლუხა— მაკლას ახალ სამულობელოს მცხოვრებთათვის მთლად გაუგებელი და უფარგისი მწერალი იქნებოდა.

Sapienti sat!

ჩემი მეტოქე ლიტერატურულ უსინდისობასაც მწამობს: თურმე ნუ იტყვით, მე მისი სიტყვები განძრავს

გადამი ხვაფერებია! ქართველმა ლიტერატორმა, რომ რუსთველი ვერ გაიგოს, ადვილად შესაძლებელია, მაგრამ იმას კი ვერას გზით ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩვენში იმისთანა „ლიტერატორებიც“ გამოჩნდებოდნენ, რომელთაც თავიანთივე ნაჯღაზნი არ ესმოდეთ. აი რას ბრძანებდა ეს ვაჟ-ბატონი «თეატრის» მე 34 ნომერში: «რუსთველს ვერ გაუძლია დაფარვა და გამოუცხადებია მის გულში მწვევად შეჩვეული გრძობა-სიყვარული თამარისადმი, — მაგრამ თითონვე შემკრთალა, ცდილა სიტყვის გადაკრასა და ამით გაუმართლებია თავი, რომ ქე სჯობით მოჰაიძემ... და სხვ. სწორედ ესრე არ გარდავეცი რუსულ გაზეთში ეს აზრი? თუ თქვენ, ჩემო «ნაგვმნაზიელო» მარტივად, რუსულში იქამდე სუსტი ბრძანდებით, რომ წაკითხული არ გაგეგებათ, მარტო თქვენს ჭკუას და ცოდნას რად ენდეთ, რომ ესრე ცხვირი არ წაგეკრათ?»

რაც შეეხება რუსთველის «ხელობას», ამაზედ აი რას მიპასუხებს ჩვენი ლიტერატურული სირაქლემა: «თუ ხელობა პირველ სტრიქონში ჭკუილამ შეშლას ნიშნავს, როგორ მოხდა, რომ სწორედ მეორე სტრიქონში ამავე სიტყვას ხმარობს რუსთველი და სწორედ «ჭკუილამ შეშლის» «მნიშვნელობით?» სწორედ ეგრე გახლავთ, მაგრამ რა მომაკვლინებელი ცოდვა ჩაუდენია რუსთველს ენის, ლოგიკის, ანუ რითმის მუზიკალური კანონების წინააღმდეგი. პირველ სტრიქონში სახელი არსებითია ეს სიტყვა, მეორე სტრიქონში ზმნა და ისრეა შეცეცილი, რომ თქვენისთანა ლიტერატორებს მთლად ჭკუის თაროები გადმოუნგრია. წარჩინებული პოეტები რითმის კეთილხმოვანობისათვის არამც თუ ამისთანას სჩადიან, ენის მტკიცე კანონებსაც კი არღვევენ სოლმე. *Licentia poetica* მათთვის არის მოგონილი და მე და თქვენისთანა მამაკვდაენი მითი ვერ ისარგებლებენ. როგორც იურიდიული კანონების, ისრე კლასიკური მწერლების ასახსნელად (толкование) კაცის გონებას შრავალგვარი იარაღი მოუგონია. ვისაც თქვენსავით მარტო ერთი იარაღი უპყრია ხელში და იმასაც ვერ ხმარობს, ის იმ იმერელს მაგონებს, რომელმაც ნალი იპოვა და დაიძახა: ღმერთო, ქვეყანაზედ სარკინეთი ვასწყვიტეო! ლეთის წინაშე, მრცხვენინ ამ საგანზედ ბაასის გაგრძელება და რომ თავი აღარ შეგაწყინოთ, ერთს წინადადებას მივსცემ ჩემს მოწინააღმდეგეს, რომელზედაც უარს ვერ გაჰმედავს. მი-

ემართავ ბბ. იღ. გ—ქეს ჭკვჭკვამეს, აჯაგბ რ—ქეს წერეთელს, დ. ი—ქეს ვიფიანს, კირ. ბეკ—ქეს დორთქიფანძეს და აჯ. ს—ქეს გოგებაშვილს ჩემი აზრი რუსთველის საკამათო საგნად მამხლარ სიტყვებზედ გააჩიონ და თუ სამი მათგანიც იტყვის, რომ რუსთველის სიტყვები ჩემა მოწინააღმდეგეთ ჩემზედ უკეთესად ესმისთ,—საქვეყნოდ პირთბასა კსდუბ: ჩემს სიტყვასლეში არც რუსულს და არც ქართულ მწერლობაში აღარ გაკერიო!

«თეატრის» რაინდი სწორედ რაინდულად იტყევა და ჩემი მთლად განადგურება არ მოუწადინია. ის მირჩევს რომელსამე გამოცდილ ლიტერატორს მიემართო, იმის მოცემულს რამდენიმე კითხვასზედ პასუხი დავაწერინო და დილით უმომზედ ვიზებირო ხოლმე. ავასრულე თქვენი რჩევა.

თქვენი კითხვები:

1) «რას ჰქვიან ლიტერატურული კეთილ-სინიდი-სინაობა?»

ა) პასუხი: იმას, რაც თქვენთვის ყოველთვის «ორქობნელი» ყოფილა და სამუდამოდ ბნელად დარჩება.

2) «როდესაც მთვარე შეიმლება და ავადმყოფს ბოდვის სიყვარული (ლაზათ ამისთანა ქართულს!) მოსდის, უნდა ილიტერატოროს, თუ საშინაო ხალათი ჩაიცვას და თავზედ ცივი წყალი ისხას?»

ბ) პასუხი: უეჭველად თავზედ ცივი წყალი უნდა ისხას. მაგრამ რადგანაც მთვარის შეშლა ორ დღეს მეტს არ გასტანს იმას მარტო თვეში ორ დღეს მოუწდება კალამზედ ხელის ალება. მაშ იმან როდის-ღა უნდა ილიტერატოროს, ეინც ყოველთვის თავზედ წყალ სახსმელია და ორმოც წელაწადს მიტანებული ბეშვად ითვლება საზოგადოებაში?

3) «როდესაც კაცმა ნამდვილად არ იცის საგანი, უნდა მორიდებით წარმოსთქვას თავისი აზრი მასზედ და ეჭვიც არ დამალოს, თუ თამამად წამიძახოს, ჩემი აზრი ეს და ეს არის და ყველანი დამეთანხმენითო; ერთის სიტყვით, შესაფერის სიფრთხილით უნდა ილაპარაკოს, თუ აღამიანის სახე ედოს და ეითა ჯორი უცილობლობდეს კი?» (!!) (კოდელიო ნინო, შენ გაიგე! (აფსუს, რომ თქვენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე არა ბრძანდებით, რადგანაც ასე მშვენიერად გცოდნიათ კითხვების დადგენა! მაგრამ მაინც მოგახსენებ პასუხს.)

გ) პასუხი: ჩემი არ გითხრა, გული რით დავწვიაო!

დავით სოსელიანი.

ნი. გვ. 461.

(დანის მარში. საყვირის ხმა მოისმის. შემოდინ ხელმწიფე, დედოფალი, პოლონიუსი, ოფელია, როზენკრანცი; გილდენსტერნი და სვანბი.)

ხელმწიფე.

როგორ იმყოფები, საყვარელო ძმის-წული ჩვენო?

ჰამლეტი.

ძალიან კარგად გასლავართ. ვიგებები ჭამელონის საზრდოთი—განსლებით ჰერს იმედებით შეზავებულს; ამ საჭმლით თქვენ ვარებებს ვერ დასუჭებთ.

ხელმწიფე.

შენი ზისუხი ვერ გავიგე, ჰამლეტო. ეგ სიტყვები მე არ შეგუთვინის.

ჰამლეტი.

ესლად აღარც მე შეგუთვინის.— (პოლონიუსს.) შენ, მგონია, მითხარი, რომ უნივერსიტეტში ყოფნის დროს სტენსზე გითამაშნია?

პოლონიუსი.

დაიღ, ხელმწიფის-შვილო, მითამაშნია და კარგი აქტორის სახელიც მქონდა გავარდნილი.

ჰამლეტი.

რას თამაშობდი?

პოლონიუსი.

მე ვთამაშობდი იულიუს კეისარს და კანტიკალში მომკვლეს. მე მომკვლა ბრუტუსმა.

ჰამლეტი.

მაშ ის ბრუტუსი სწორედ ბრუტინი ეოფილა, რომ მაგისტანს ჩინებული ხბო დასავლავად გამოუმეტნია. აქტორები მზად არიან?

როზენკრანცი.

მზად გასლავან და თქვენს ბრძანებას-ღა ეღიან.

დედოფალი.

აქეთ მოდი, შვილო ჰამლეტო, ჩემს ახლო დაკვე.

ჰამლეტი.

არა, დედა-ჩემო, აქ უფრო მიმზინავი ანდამატია.

პოლონიუსი.

(ხელმწიფეს.) ხომ ჰსედავთ!

ჰამლეტი.

(ოფელიას.) ნებას მიბოძებთ, რომ თქვენს კალთას ჰქმს ამოკეთარო? (წამოწება ოფელიას ფერსთით.)

ოფელია.

ვერა, ხელმწიფის-შვილო.

ჰამლეტი.

მე ვამბობ, თავი თქვენს კალთაზედ დაეღო შეთქი.

ოფელია.

ეგ კი თქვენი ნებაა.

ჰამლეტი.

თქვენ იქნება გგონათ, გულში ცუდი რამ გასწრასვა მქონდეს?

ოფელია.

მე არა მგონია-არა.

ჰამლეტი.

რა კარგია, რომ კაცი ქალის მუხლებთან იყოს წამოწოლილი.

ოფელია.

რას მიზრძანებთ, ხელმწიფის-შვილო?

ჰამლეტი.

არაფერს.

ოფელია.

თქვენ დღეს მსიარულად ბრძანდებით.

ჰამლეტი.

ვინა? მე?

ოფელია.

დაიღ, თქვენ.

ჰამლეტი.

არა თუ? მე ხომ თქვენი მასწარა ვარ, და ან კარმა სხვა რა გააკეთოს, თუ არ იმხიარულოს? აი ხომ ხე-

დავთ, დედამსუხსნის სხე რაგორ უცინის და მამსკეი კო ამ ორის საათის წინად მოკვდა.

ოფელია.

რას მიბრძანებთ? რატომ ორჯერ ორი თვე არ არის მის აქეთ.

ჰამლეტი.

იქნება მაგდენი ხანა? მამ კომპაჰს ჩაიცივას შვიი და ბნელი, მე კი ვარეუშის წამოსახურავეით მოვიბრძობი. დამართო ჩემო, კაცი ორი თვეა—შეკვდარია და ვერ ვიდევი არ გამოუგლოვიათ. მამ იმედა, სახელოვანი კაცის სსენება სასკვარ წელიწადისეც გადაცილებს. მაგრამ თუ რამდენიმე კვლევისა არ ააშენა, იმის სახელსაც ისეთივე ბედი მოკლის. როგორც ვოსის-ცხენს, რომელზედაც ეს კვიტაფიაა გამოთქმულია:

- „ვოსის-ცხენი
- „მოკვდა ჩემი,
- „სა-უჩუნიად მოსასხენა!“

(მოისმის საუვირის ხმა. უსიტყვო სანახავი.)
(შემოდინ აქტორი და აქტრისა ხელმწიფის და დედოფლის ტანისამოსით, ერთმანეთს უაღურსებენ და ეხვევიან.)

(დედოფალი დაიხილებს და ერთგულდებს შეჭვიცებს. ხელმწიფე ფესხედ წამოაუყენებს და თავს იმის მხარხედ დასდებს. მერე დაწება ევაგილებით დაფენილს სკამხედ. დედოფალი ხელმწიფეს მიმინარეს რომ დაინახავს. გავა. შემდეგ შემოვა ერთი აქტორი, მოხდას გვირგვინს. კმ-თხევეა ამ გვირგვინს, მიმინარე ხელმწიფეს უფრში სწამდავს ხაწკუთებს და გადის. დედოფალი შემობრუნდება, ხანავს, რომ ხელმწიფე შეკვდარია და მწუხარებას გამოაცხადებს. მომწამლავი და ორი-სამი კიდეე სსვა აქტორი შემობრუნდება და დედოფალთან ერთად ვითომ სტორიანს. ხელმწიფის გავი გააჭეთ. მომწამლავი დედოფალს საჩუქრებს უძღვინს და ცოლად თხოულობს. დედოფალი ვერ უარხუდა სდგას, მაგრამ ბოლოს დათანხმდება. გადახს.)

ოფელია.

ეს რას ნიშნავს, ხელმწიფის-შვილი?

ჰამლეტი.

ეს ნიშნავს, რომ აქ რაღაც ბორბტება დაფარული.

ოფელია.

უთუოდ ეს სანახავი წარმოდგენის შინაარსია.

(შემოდის პროლოგი.)

ჰამლეტი.

აი ეს ვაჟ-ბატონი ვეალაფერს შეგატყობინებს; აქტორებს არაფრის დამალვა არ შეუძლიანთ, ვეალაფერი უნდა წამოაყენებოდეს.

ოფელია.

მამ იმსაც აგვისხის, თუ ეს სანახავი რას ნიშნავს.

ჰამლეტი.

აგვისხის, როგორ არა. და თუ თქვენც უჩვენებთ თქვენს სანახავს, აუხსნელს არც იმას დაცტოვებს. ოღონდ თქვენ სანახავის ჩვენება ნუ შეტრცხვებთ და ახსნას კვ არ მოკრიდება.

ოფელია.

არაფერს არა ჰგავს ხელმწიფის-შვილი კვ დამარავი. ნება მიბოძეთ, წარმოდგენას ვური დაკუვდო.

პროლოგი.

- „მოწიწებიან ვითხოვ მოთქმას
- „და ტარგედაის თქვენგან მოსმენას.“

ჰამლეტი.

ეს პროლოგია, თუ ბეჭდის ხედ-წარწერა?

ოფელია.

მართლაც რომ ძლიან მოკლეა.

ჰამლეტი.

როგორც ქალის სიყვარული.

(შემოდინ აქტორი და აქტრისა ხელმწიფისა და დედოფლის ტანისამოსში.)

აქტორი—ხელმწიფე

ფეხისის ეტლმა ოცდაათჯის შემოურა
გარს ნუბტუნისა ზღვათ-სამეფოს და რგაღსა მიწას,
თორმეტს მოვარემ ოცდაათჯის კადმოგავყარა
სხიენი, რომელნიც მიუღო შექს სსვა მნათობისას, —
მას აქეთ რაც ჩემს, ორთავე, ტრფობა გულის დაგვეყვარა
და ჰემ მოვეყვით წმიდას უღელს ქორწინებისას.

აქტრისა — დედოფალი.

ნეტავ მაგდენჯის მოივლიდეს მსე და მოვარემ
კიდეე, კიდრემდე მოკეპსობა ეს ტრფობა,

მკრამ ვწუხვარ, რომ ამ ბოლოს დროს გულს ვაღიფარე სევდის ღრუბელი და დაჭკარე შენი მზვგასება! ეს ეტკის მიხედვით, თუძე ამ ეტკის ნუ შეუშინდება, რადგანაც ქალის ეტკი მოსდევს მხოლოდ სიყვარულს: ეს ორივე გრძობა ერთად არის დანახადები, ან ანარაობს, ან ძალს იჩენს რომის—კანდასრულს. ჩემს სიყვარულში ხომ დაწმუნდა აწ გული შენი და ვით მესრდება სიყვარული, შიშიც მესრდება, დიდ სიყვარულთან ეტკიც სდება მსელ-მოსამძენი და შიშთან ერთად სიყვარულიც განძლიერდება.

აქტორი—ხელმწიფე.

ჭაი, სატრფოო, მალე უნდა გაუფიქრე შიშის გზას, მე დავუძღვრდი და აღარ მაქვს სხეულში ღონე. შენ აქ იცნობრება, ამ ქვეყანას შევნიერეს და მისს ვოვლის სულისთთვის საყვარელი, დადის ან-მქონე: იტება შეხვედ მალე კიდევ ჩემებრ ერთგულ ქმარს...

აქტრისა—ღედოფალი.

მაცას რას ამბობ, ნუ მაჩვენოს ღმერთმა სხვა ქმარი, ნუ გამოიტაროს ეგ დაღატი დაწველულებულს გულს; წვეულებაც ვაყო, თუ ოდესმე ციხილო მკვდარი და სხვა ქმარის შერთოთ ვაწო კიდევ შენს განწმედალ სულს!

ჰამლეტი.

ეს აზზინდაა, აზზინდა.

აქტრისა—ღედოფალი.

მეორედ ქალი სიყვარულით ვერ გათხოვდება, მიზეზად მხოლოდ ანგარიში მას უნდა ქქონდეს— ეგ ზირკელის ქმრის კვალად საკვდალს ხომ ეკვანება, რომ მის საწოლში სხვა მკვრინადეს და მესკვოდეს.

აქტორი—ხელმწიფე.

მჯერას, რომ ესლა გულ-მართლად სთქვა შენი სურვილი, მაგრამ ვაიწყებთ სშირად ჩვენეუ ჩვენგან განზრახულს, განზრახვა არის სსოვანისთვის მონა მოწილი, იშვის ძლიერი და დაჭკარვავს ბოლოს ძლიერს სულს, როგორც რომ ხეყედ მკრამდ ებას ჟერ მკვანე სილი და მერე მწიფე მოსწედეს ხეს ანც-გი შერსეულს. მნელი ეს არის, სამწუხაროდ, რომ გვაგაწყდება ის გადგუნადოთ ჩვენსაუ თავსა, რაცა გვამეს ვადად და რასაც ვაზრობთ, როცა გული აგვიდვლდება, მღელვარებისა შემდეგ იგი განჭქრება ჩქარად. ჭმუნვა და ღზინი მით იჩენენ თვის ძლიერებას, რომ თვისთან ერთად სზობენ მვისეუ თავიანთ ნაყოფს,

როს ჭმუნვა ჭმუნვობს და როს ღზინი კლკვა შეებას, მცირედ მიზეზით შეიწვლიან გრძობას და სამეოფს. წუთის-სოფელი წუთისა და რად გვაგვირდეს, რომ ბედთან ერთად სიყვარულსაც ფერი ეტნდება, რადგან ჟერ კიდევ საჭიროა, რომ ეს გამხილდეს,— ბედს მოსდევს ტრფობა, თუ ტრფობას ბედნიერება. დადგანს დამსობილს მეგობრები შემოეცლება შე-აღწეული იმეგობრებს მოსისხლე მტერსა, დღემდის ხომ ვხედავთ სიყვარული ბედს თავს ევლება და ქანებითა გულს მოეუგებ თუნდა მოელს ერსა. გაჭირებაში ვინც გამოსცდას ცრუ მეგობარსა, მტრად გადაიქცენს, — წელანც ვსთქვი და ვამბობ კვლავად: სურვილი ჩვენი და ბედი ერთს არ მოსდევს გზას, და სშირად ჩვენი განზრახული რება განზრახვად. აი ხომ ამბობ: „არ შევიართავ მეორე ქმარსა,“ მაგრამ ეგ აზრი განჭქრება, როს მისხა საფლავად.

აქტრისა—ღედოფალი.

მიწამ ნუ მომცეს საზრდოება, ნურც ზეცამ სხივი, მომესძოს სრულად მოსვენება, სიამოვნება, განწირულებად შეშენვალის იმედი ტვაილი და სანურობილედ გადამქცენს ქვეყნიერება; დეე შემსრეს საუკუნოდ ზირხედ დიმილი, სიხარულის წილ ნამიხერვდეს გულს მწუნსარება, ნურც აქ, ნურც ზეცას გამინდდეს მწეგა სსმილი, თუ რომ შენს შემდეგ განვიზრახო მე გათხოვება!

ჰამლეტი.

(ოფელიას.) ესლა ეს ფიცი რომ გასტყხოს?...-

აქტორი—ხელმწიფე.

კმარს ეგ ფიცი, სიყვარულა, დამტოვე მარტო! გულს დამიმძიდა და მცირედ მსურს ძილს მივსცე თავი, მსურს რომ მოსწყენს დღესა ამს თვლემით გავერთო.

აქტრისა—ღედოფალი.

ოც, მოისვენე, ღმერთმა ნუ ქმინას ჩვენ შორის ავი.

(ღადის.)

ჰამლეტი.

დედოფალა, როგორ მოგწონთ ეს წარმოდგენა?

ღედოფალი.

მეკვონება, დედოფალი მეტად მიმიყვარება სდებს.

ჰამლეტი.

მართალია, მაგრამ თავის სიტყვას კი შესარულებს.

ხელმწიფე.

შენ უნდა იცოდე, ჰამლეტ, აზრი ამ წარმოდგენისა. საწყენი ხომ არა არის-რა?

ჰამლეტი.

არა, სრულიადან არა, კგენი ხუმრობენ და ხუმრობითვე სწამლავენ ერთმანეთს. საწყენი არა არის-რა.

ხელმწიფე.

რა ჰქვიან ამ წარმოდგენას?

ჰამლეტი.

თავების-მასე, დიად, დიად, მასე სხვა მნიშვნელობით. მაგისტანა მკვლელობა კენაში მომხდარა: გონსა-გო მთავრის სასკლავა, ცოლს ჰქვიან ბანტიისტა. ესლავე ნახავთ ეგელაფერს,— მერტად ავსაყური საქმეა, მაგრამ რა გენაღვლებს! თქვენს დიდებულებასა და ჩვენ სინიდისი წმიდა გუჰეს და კბ პერ შეტრეხება. არა? ვისაც ნიორი უქსამია, ჰირიდ იმას დაეწვას.

(შემოდის მეორე აქტორი, ლ უ ც ი ა ნ უ ს ი.)

ამას ლუციანუსი ჰქვიან, მთავრის ძმისწულია.

ოფელია

თქვენ სწორედ ხაროს მაგეობასა სწევთ, ხელმწიფის-სვილო.

ჰამლეტი.

მე შემოდლო თქვენსა და თქვენს საყვარელს შორის შესავლობის მაგეობასაც გამეწია, თუ ჰატარა სათამაშოებს ჩემს თვალ-წინ აათამაშებდით.

ოფელია.

თქვენ მწარედ მასკილობთ, ხელმწიფის-სვილო.

ჰამლეტი.

და თქვენც თუ გინდათ ეს მასკილი დამიხლუნ-გოთ, უკენსლად კერ გადამირჩებით.

ოფელია.

თან-და-თან უარესს ბრძანებთ.

ჰამლეტი.

დიად, როგორც თქვენ თან-და-თან უარესს ქმრებს ირთავთ.— დაიწეე, მკვლელო, ანუბე თავი მაგ შენი წყე-ულის სახის ჰრანსკვას და საქმეს შეუდექ, აბა, ჰსა! „ყორანი ჩხავის და მიკვიწეეს შურის-ძიებად.“

ლუციანუსი.

ფიქრი მაქვს შავი, წამლიც მსად და დროც საჩვენო, მკვლავიც მიჭრის და არც გარსა სჩანს ადამიანი... შემდგარო ღამის ბალახებით, ბედ-შავო წვენო, შენ, რაც ჰქვითის გრძიებით, სამგზის ხარ გესლიანი, გთხოვ მაგ ბუნების ძლიერებით ეს შეჩვენო და გამოსწირო მის სიცოცხლე ტვბილ, სვიანს

(მძინარეს ყურში საწამლავს ჩააწვეთებს.)

ჰამლეტი.

ბადში მოსწამლა იმის სასკლემწიფოს სელთ მოგდების-თვის; სასკლად ჰქვიან გონსავო. ეს ამავე ნამდვილია და ჩინებულის იტალიურის ენით არის დაწერილი. ესლავე ნახავთ, თუ მკვლელი როგორ მოიგებს გონსავოს ცოლის ტულსა.

ოფელია.

სელმწიფე აბრძანდა.

ჰამლეტი.

რადან? მოჩვენებულმა ცენტლმა ხომ არ შეაშინა!

დედოფალი.

როგორა ბრძანდებით, ხელმწიფეო ჩემო?

პოლონიუსი.

შეჩერეთ წარმოდგენა, ჩქარა, ჩქარა.

ხელმწიფე.

სანათი მოიტანეთ და წავიდეთ აქედამ.

პოლონიუსი.

სანათი, სანათი, სანათი!

(გაღიან ყველანი გარდა ჰორაციოსი და ჰამლეტისა.)

ჰამლეტი.

დეე დაჭრილი ხარ-ირემი კენესით ვიდოდეს და თამაშობდეს ნუგრი უნებულად

ზოგს ძილი ერგო და ზოგი კი უნდა ფსიზღობდეს ამ წუთი-სოფლის გასართობელად.

ახა ეს ლექსები, შუბლთან ბატის-ფრთების ფრიალი და კარდები ატრელებულ ფენსაცმელზედ საკმაო არ არის, ატორების დასში ჩაკეწერო, თუ კი ჩემმა ქისამ ჩემთან ერთად ფერი იცვალა?

ჰორაციო.

რატომ? ნახეარს წიღებდ.

ჰამლეტი.

რადა, სრული კი არ შეკუთვნის? ხომ ხედავ კარგად, მეგობარო, რომ ამ სამეფოს ვერ ჩაჩუქეს ზეესის საყვირო და შეეგდ დასკეს იმავე ზეესის საუფლისწულოს კისა, თუ იცა? დიდუერა.... მსეცა.

ჰორაციო.

განა რითმს კი ვერ მოაწყობდით?

ჰამლეტი.

ოჰ, ჩემო კარგო ჰორაციო. იმ ანრდილის თითო სიტყვა ათასი ოქრო ღირებულა. შენაშენ?

ჰორაციო.

ძალიან კარგად, ბატონო ჩემო.

ჰამლეტი.

როცა მოწამლვაზედ ლაზარაჟი დაიწეეს.....

ჰორაციო.

კარგად შეენიშნე უოკელისფერი.

ჰამლეტი.

აა! მობრძანდით, მესალამურენო, ცოტა მუსიკით შეგაქცეთ.

რადგან თუ მეფეს კომედია არ მოეწონა, ეტყობა იგი არ იაძა, გუფს განეწონა.

(შემოდინ რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც ი და გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ ი.)

ახა, ცოტა მუსიკა გაგვაგანეთ.

გილდენსტერნი.

ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ ერთი სიტყვა მოგასსენოთ.

ჰამლეტი.

ბატონი ბრძანდები, თუნდა მთელი ისტორია მითხარ

გილდენსტერნი.

ხელმწიფე, ბატონო.....

ჰამლეტი.

რად, რა მოუვალა?

გილდენსტერნი.

ცალკე ოთახში წაბრძანდა და მეტის-მეტად უჭეიფოდ შეიქმნა.

ჰამლეტი.

ღვინის-სმისაგან?

გილდენსტერნი.

არა, ბატონო, ნალკვალა აქვალა.

ჰამლეტი.

მერე მაგდენი მიხედავ მაინც უნდა გქონდეთ, რომ ექიმისათვის მიგემართნათ და არა ჩემთვის. თორემ მე რომ ჩემებური წამალი დაეუნისონო, იქნება იმ წამალმა უფრო დაანადგვანოს.

გილდენსტერნი.

ბატონო ჩემო, სკობს დალაგებით ჰასუსი მიბრძანოთ და ჩემს თხოვნას გარე-გარე არ უაროთ.

ჰამლეტი.

აი მოვინაზურდი, ბრძანე.

გილდენსტერნი.

დელოფალი, დედა-თქენი, დიდად შეწესებულა და თქვენ განსლათ ჩემი თავი....

ჰამლეტი.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

გილდენსტერნი.

ხელმწიფის-შვილო, ეგ ზდილვაბა მოსატანა არ განდვით. თუ გნებავთ, რიგანი ჰასუსი მიბოძოთ, შეგასრულებ დელოფლის ბრძანებას. თუ არა, მაშინ კი მომიტყეეთ, უკან განსლებით და ეს აქნება ჩემდა მოხლობილის საქმის დასასრული.

ჰამლეტი.

მე არ შემიძლიან.

გილდენსტერნი.

რას არ შეგიძლიანთ, სელმწიფის-შვილო?

ჰამლეტი.

რეიანნი შასუსი მოგვით? მე გოხებით აუადა ვარ. მაგრამ რა შასუსის მოცემაც ვი შემიძლიან, თქვენთვის, ანუ თქვენის სიტუაციისაგან, დედაჩემისათვის მიმართევა. მას შირ-და-შირ საქმეს შეეუდგეთ. თქვენს სთქვით, რომ დედაჩემმა...

როზენკრანცი.

დედათქვენმა ბრძანა, რომ თქვენმა ქრეამ მეტად ააღლუა და განცვიფრებაში მოიყვანა.

ჰამლეტი.

რას საკვირველი შეილი ვუთხვილავ, რომ დედაჩემიც ვი განცვიფრებაში მოიყვანა! — მერე ეს რომ აღარ მითხარით, თუ რა მოჭყეა დედაჩემის ესეთს განცვიფრებას. — სთქვით.

როზენკრანცი.

დედოფალსა სურს, ვიდრე მოისვენებდეთ, თავიანთ ოთახში მოკვლანაწყოთ.

ჰამლეტი.

ჩვენ უნდა დავემორჩილებით, თუნდა ათეულებიც დედაჩემი იყოს. გაჭეთ ვიდრე რამე საქმე ჩემთან?

როზენკრანცი,

ბატონო ჩემო, თქვენ ერთსეულ გიუვარდით მე.

ჰამლეტი.

(თავის ხელეხ აჩვენებს.)

ვუიციან ან ამ მცარეველებს, ამ ქუდებს, რომ ვიდეგნი მიუვარსან.

როზენკრანცი.

ჩემო სელმწიფე, რას არის მიზეზი თქვენის უჭეოფობისა? თუ მეგობარს მწუხარებას არ გაუმსკლეთ, მან თქვენზე სელს შეუშლით თქვენის სენისაგან განთავისუფლებას.

ჰამლეტი.

მე სამსახურში ვარ ადგილს არ მაძლევენ.

როზენკრანცი.

ეგ რა მოსაფიქრებელია, რადგანაც თვით სელმწიფემა ბრძანა, რომ დანაში მისი შემკვიდრე თქვენს ბრძანდებით.

ჰამლეტი.

მართალია, მაგრამ სომ იცით, „შავლეს ტყავს გაბრობენ, სანამ...“ ეს ანდრეა ცოტა დაობებულია.

(შეზოდიან აქტორები და საღამურის-დამკვრელნი.)

აი საღამურის-დამკვრელნიც მოვიდენ. — ახა ერთი ეგ საღამური მახეუე. — (გილდენსტერს.) მას თქვენთან წამოვიდე? რად მივლით ვარს ისე, თითქო ნადირი ვიყო და მასში გაბმას მიზირობდეთ.

გილდენსტერნი.

ბატონო ჩემო, თუ ჩემი მოვალეობა მკადნაეურებს, ჩემი თქვენდამი სიუარული თითქმის უზღველობასაც მხედევენ?

ჰამლეტი.

მე ვარჯად ვერ გავიგე, რას სთქვია. ახა ეს საღამური დაუგარ.

გილდენსტერნი.

დაკვან არ ვიცი, სელმწიფის-შვილო.

ჰამლეტი.

რეგორც იყოს.

გილდენსტერნი.

გარწმუნებთ, რომ არ ვიცი.

ჰამლეტი.

გვიდრები, დაუგარ.

გილდენსტერნი.

ისიც არ ვიცი, სელი რეგორც მოკვიდო.

ჰამლეტი.

ეს ისე ადვილია, რეგორც სინათლის თქმა. ან ამ თვლებზედ თითები ათამაშე, შირით სული ჩაჭებრე და ესეც საამოდ-სასმენელ სამუსიკო მხას გამოსტყოს. ან სომ სედავ, რეგორც უნდა მოჭვიდო სელი.

გილდენსტერნი

არ შემიძლიან ეტ სახამოდ-სასმენი ხმა გამოვარდინო.
მე მავ საქმეში დახელოვნებული არ გასვლავართ.

ჰამლეტი.

ესლა სომ ჰხედავთ, როგორი უდიდისი და არაღ-
მასაგდები გგონივართ. თქვენ გინდათ, რომ მე თქვე-
ნი საყრავი ვიყო, ჩემი ხელში დასკურს ადვილად მივახ-
ნიათ; გინდათ ჩემს საიდუმლოს გული ამოვარდინოთ
და ჩემის სულის სიმბეს სითითად ხმა ამოვარდინოთ...
და ამ მდინე მუხიკის საყრავს ვი, რომელიც წყაროს
ჰარმონიისა, ამბობთ, ხმის ვერ ამოვარდინებთო. რო-
გორღ თქვენს გგონიათ, მე ამ ჰატარს საღამურზედ უფ-
როს ადვილი დასაყრავი ვიყო! მიწოდეთ მე, რა საყრავის
სახელიც გინდათ, მავრამ ესეც იცოდეთ, რომ შეგი-
ძლიანთ გამწვანლოთ, რამდენიც გსურთ, და ჩემზედ და-
გვრას ვი ვერ მოახერხებთ.—

(შემოდის პოლონიუსი.)

მშვიდობა შენი ნახვას.

პოლონიუსი.

ბატონო ჩემო, დედოფალს თქვენთან დახმარავი
სურს და სურს ესლავე.

ჰამლეტი.

ჰხედავთ ზეით იმ ღრუბელს, რა საშინლად ჰგავს
აქლემს?

პოლონიუსი.

წირვის მადლმა, ძალიან ჰგავს.

ჰამლეტი.

მე მგონია, ვერსნას ჰგავს.

პოლონიუსი.

ზურგი ვერსნისი ჰგავს სწორედ.

ჰამლეტი.

თუ უფრო ვეშინსა ჰგავს.

პოლონიუსი.

ხელ-გამოქრილი ვეშინას.

ჰამლეტი.

ესლაჲ მოვდივარ დედაჩემთან.—ღამის ამ ჩაცვებით
მართლა ჰგვიდამ შემშლან.—ესლაჲ მოვდივარ.

პოლონიუსი.

მაშ გეტე მოვასხენებ.

(გადის პოლონიუსი.)

ჰამლეტი.

არ გაჭირდება ამისი თქმა: „ესლაჲ მოვდივარ.“
გთხრეთ რომ ესლა ვი, მეტობრებო, მარტო დამტოვოთ.—
(გადიან როზენკრანცი, გილდენსტერნი, კორაციო
და სხვანი.)

აწ დადგა ღამის ბნელი უამი გრძეულთ საფერი,
ოდეს საფლავნი ჰარს იხსნიან და ვოფოხეთიც
სნებს ამოხეთქს და მოაფენს დედამაწას.
ესლა შექმლო, თბილსა სისხლსა დაწვანებოდი
და მომქნდინა ისეთი რამ საქმე საზარო,
რომ თვით დღის ნათელს მისის ხალვით თრთოლას
მოსკლოდა.

ჩემად? წავიდე დედაჩემთან. ოჰ, გულო ჩემო,
შენსა ბუნებს ნუ დაჭარავ, ნუ მისცემ სებას,
ნერონის გრძობამ ამს მეურდ ქვემ დაიბინდროს.
უნდა სასტიკი ვიყო, მავრამ არ ვი უწყვლო,
ენით მივმართო იარაღსა და არა ხელით,
დავაფარვინო გრძობა ჩემი მედგარსა სიტყვებს
და თუმი მუქარა, საყვედური ვასმინო ბეგა,
მავრამ მუქარა იგი საქმით ვი არ შესრულდეს.

(გადის.)

სურათი III

(ოთახი იმავე სასახლეში)

(შემოდან ხელმწიფე, როზენკრანცი და გილდენს-
ტერნი.)

ხელმწიფე.

იმისი ქრევა მე არ მომწონს და საფრთხილად,
რომ მის სიგაყეს ვაძლეოთ ამდენს თაბის-უფლებას.
თქვენ მოემზადეთ მასთან ერთად ინგლისს წასვლისთვის
და მეც ესლაჲ გამოგზავნი ბრძანების ქაღალდს.
ჩვენს ქვეყნს ვერ აიტანს, რომ ისე ახლო
დასტრიალებდეს მას სიფათი, რაც მის სიგაყეს
ერთად მოჭეება და თან-და-თან უფრო შიშს გვატებს.

გილდენსტერნი.

ჩვენ შეუდგებით სამზადისსა, ჩემო ხელმწიფე!
და სება დამრთეთ, მოვასხენოთ, რომ ეგე შიში
საკეთილოა და წმიდაა, რადგან თქვენ ზრუნავთ
მთელს ერზედ, რაც თქვენით სცხრობობს, ის ერისთვის
სულდგმულბს.

როზენკრანცი.

თვით უბრალო და კერძო კაციც მოკლე არის, ყოველის თავისის სულისა და სკეის ძლიერებით უბედურების წინააღმდეგ აღიჭურვოდეს და მით უმეტეს ვაღად სდგეს მას, ვის სიკეთეზედ მრავლის-უმრავლესთ დღე-გრძელობა დადგენილია. როდესაც მოდის მეფისათვის აღსასრულის დღე, მაშინ სიკვდილი მართლ იმას არ გამარობს მისვერძლად და თან ჩაითრევსაგვით მორვე, რაც მის ასლთა. ძეგა მზგაკვი მძალ მთაზედ დადგომულის ჩარხის, რომლის დიდროკან სოლებს თითქო ზედ აჭედიათ მრავალ-ათასი უმნიშვნელო, მცირე სავანა. როს იგი ჩარხი წაიჭრება, მაშინ ამათაც მოკლეთ ბოლო საშინელი. ოდეს სელმწიფე ამოიხარებს—ხალხს ეს ოხვან კენესად ეჭრება.

ხელმწიფე.

გთხოვთ, რომ სამგზავროდ მოემზადოთ დაუყოვნებლივ. სჯობს ამ შიშს მალე გაუფაროთ ფესში ბორკილი და თავისუფლად უწინდებებს აღარ ვატაროთ.

როზენკრანცი და გილდენსტერნი.

მოსამზადებლად გაიხლებით.

(გადიან როზენკრანცი და გილდენსტერნი. შემოდის პოლონიუსი.)

პოლონიუსი.

ჩემო ხელმწიფე,

ჭამდებო თვის დედის ოთახისკენ გაიხლათ ესლად და თუ იხებებო, მათ საუბრის მოსასმენებლად, დავიძალება ფარდის უკან. მე თქვენ გარწმუნებო, რომ დედოფალი არ დასტოვებს დაუტოქსავსა. თქვენ თითონ ბრძანებო, თუ განსოვოთ და კარგადაც ბრძანებო,—

გარგი იქნება დედას გარდა სხვაც რომ დაესწროს— რადგან ბუნებით დედას შვილის მხარე უჭირავს— და ყური უგდოს ჩემად სითმე მათ ლაპარაკსო. მე გაიხლებით თქვენთან, ვადრე მოიხივებდებო, და რასაცა ვცნობ, მოგასსენებო, ჩემო ხელმწიფე.

ხელმწიფე.

დიდადა გამდლობ.—

(პოლონიუსი გადის.)

რასაზარი ცოდვა ვიტვიროთე.

მას ზეცის მიმართ ასდის კვამლი და იქ ღაღადებს; იგია, რასაც უძველესი წყევლად სვდა წილად. კანის ცოდვა... მძის სიკვდილი... ლოცვას ვერ ვბედავო, თუმც სურვილი და ნების-ყოფა მისთვის მიამწივეს,— ძლიერს განზრახვას მისპობს ცოდვა უძლიერესი და მზგავსად კაცის, რომელს ორი საქმე ვაღად სძევეს, უძრავად ვდგავარ და არ ვიცი, ჟერ რა დავიწყო. განა ამ წყევლს სელს მძის სისხლი ისე სქლად სცხია, რომ ვერ გავზანოს მადლიანის ცის წვიამ იგი და თეთრ თოვლივით არ აქციოს? ან თუნდ ეს მადლი რად არ იგისრებს ცოდვიანის შესუბუქებას? მამ რა ძალა აქვს ლოცვას, თუე ორსავ ვერ შესძლებს: არ შეგვაფერებს იგი, ვადრე შევცოდებოთ რამე და ვერ მოითხოვს მოტყუებას შეცოდებისთვის. მამ ვილოცავ მე.—ცოდვა იგი წარსული არის, მაგრამ რა ლოცვა მოუხდება ჩემს შეცოდებას? „მომიტეე მე საზიზღარი კაცის-ძველულობა!“ ეს არ იქნება, რადგან ესლად ვადრე ვიფლობებო ყოველსავე მას, რისთვისაც ის ცოდვა ვიკისრე: ჩემს დიდებას, ჩემს გვირგვინს, ჩემს მეუღლეს. ვინც სტკება ცოდვით, მიტყუებას ვით კლირსება? ამა წარმავლს და გარყვინლსა წუთის-სოფელსა ოჭროს-ვარაყით დაფერილსა ცოდვიანობას შეუძლიან, რომ უგუ-ავლოს მართლ-მსაჯულება და სშირად კანონს ვეიდულობენ ბოროტულად;— მაგრამ იქ, მალდა, სხვაფორივ არის: იქ ცბიერებას არ აქვს ადგილი, იქ ვერა-რა დაითვარება; ჩვენც სომ იქ უნდა გამოვცხადდებო და ბოროტ საქმეთ ფარდა ავხადოთ, განმარცხვულნი გამოვამქვანოთ. მაშინ რაღა ვქმნა, ან რა ღონეს უნდა მივმართო? ვცალო, რა ძალუქს სინანულსა? და რა არ ძალუქს? მაგრამ რა ძალას გამოიხენს იგი იმისთვის, ვინც სინანულს ვერ ახერხებს, ვერ მისწვდომია! ვაიმე ბედგროულს! ვაი გულო, სიკვდილებო შავო! მახეს გაბმულო სულო ჩემო, სცდილობ თავ-დანხას და ამა ცდითა უფრო ებმი. ოჰ ანგლოზნო, სცადებო, დამისხნათ! კერპნო მუხლნო, მოადრეკებით და ფოლადისა მარდებობათა ნაქსოვო გულო, ჩვილის ყრმის გულსა მიემზგავსე ღმობიერებით. იქნება იუოს საშველი რამ?

(კოხნეში დაიჩოქებს და ლოცულობს. შემოდის ჰამლეტი.)

რუსული თეატრი

რუსულ ოპერებზე ხალხი ძრიელ ცოტა დაიარება. თუმცა წარმოდგენის მართვა ჯეროვნად არის დაყენებული. საუცხოვოდ თამაშობენ ტანჭკიზერს ერნანის, დემონს, მაგრამ ხალხი თეატრს მაინც არ წყალობს და არ დაიარება...

ზასუხის მავიერ ბ-ნი დავით სოსლანის წერილსე.

1) რადგან თქვენ, ბ-ნი დავით სოსლან გეთავიდან (?) გამოაშკარავთ ქართულ მწერლობის სუფილბა (!) რუსულ მწერლობაში და მკითხველ საზოგადოებაში.

2) რადგან ქართულ გაზეთა შორის „ივერიამ“ არ დაჰბეჭდა თქვენი წერილი, იშვიათი ნიმუში ზრდილობანი და ლიტერატურული პოლემიკისა და

3) რადგან ჩვენ ჩვეულებად და ზნეობად გვაქვს ყოველს მეტოქეს, თუნდაც თავნებდს, ის იარაღი მივსცეთ ხელში, რომელსაც ჩვენ თვითონვე ვხმარობთ, ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ადგილს ვაძლევთ თქვენს კალმის ნაყოფს, შეზავებულს ქალაჩუნური ღრეციობით, და ამასთანავე—თქვენდა სამწრხაროთ—პასუხს არ ვაძლევთ იმის იმედით, რომ ამ გვარი წერილი პირველი და უანასკნელი იქმნება ჩვენს გაზეთში.

ხალხური ლექსი.

სანთლის გუთანს ავამუნებ, შიგ შავაბამ უღელ დეკას, ფლაში კხნამ და ზღვასი კოესაგ, ქმრალად კინადირებ თევისსა,

აქლემს ბარ-საკვეთს აკვიდებ, უკან გავყოლებ მგელსა, ეინულხედ კალოს გავლევ, მშრალად გადაყრიდი ბუესა, ჭინჭველას გოდორს აკვიდებ, კამბეებს. დაუყრი ბუესა...

მოკიხედე ზღვისა პირსა სამი კაცის მოდიოდა, სამივე ისხდნენ ცხენებზედ, რომ მოკიდნენ ზღვისა პირსა, სამივე ერთთ ჩამოხტდნენ, ზღვასი ბადე გადაუგდეს, სამი თევისი გამოჭევეს,

გამოშიგნეს ის თევისი, სუნელებით შეამკეს, მოიტანეს იმ წამს ტაფა, ფიცხლავ ცენტლზედ შემოდგეს, მოხარშა რომ დაუთაგეს, სიტყვს ხელი გაძოდგეს.

ვეზირმა თქო:სოლომ ბრძენო შენ გამზარდე, შენ დამსწარ ამას დღეს;

ეშმაკ ვირში შეგაფურთხებ, გავისტუმრებ ცარიელსა; თუ ეს სიტყვა მართალია ჩემი თევისი გაცოცხლდეს, გაცოცხლდა და ზღვას ეტეგრა, ორი ისევე ტაფას რჩეს.—

რიგით მოსჭდეგს სამართალი, ახლა დედოფელს ჰხედეს, შიშითა და სირცხვილითა დედოფალი შესუსტდეს; გულზედ უსმენ ვარდის წყაფსა, აფიცებენ მამის მწყეს.

— ჩემო მძანო ხელთა გუყვართ, თავი მომკვრით გადაგდეთ, ჯაბახსა გადახმდება, სუთმეტი წელიწადია გუყვართ გუნწულ სემწიფეს,

ხელთ უწირავს ოქროს ტახტი, დამეს ანათებად ბნელს; თუ ეს სიტყვა მართალია ჩემი თევისი გაცოცხლდეს, გაცოცხლდა და ზღვას ეტეგრა, ერთი ისევე ტაფას რჩეს.—

რიგით მოსდევს სამართალი, ახლა სოლომ ბრძენსა ჰხედეს, სოლომ ბრძენი სიტყვას მოჭევა ერთ ჩვენით სანატრელსა; — ერთი სპილენძის კოკა მჭეეს, მიხარია მემამულეს, დავიბარებ გუნწულისა...

თავის საყმო თან ჩაჭევეს, საყვარელი განს დაჩხეს; თუ ეს სიტყვა მართალია ჩემი თევისი გაცოცხლდეს, გაცოცხლდა და ზღვას ეტეგრა, ცარიელი ტაფა რჩეს.

დახატია გუნწულელისა, ახუნდითა თორმეტ ჭიკვინსა, გუნწულელო სიტყვას გეტევი ერთ შენით სანატრელს, ერთი სპილენძის კოკა მჭონდა, მიხარია მემამულეს,

თუ იმას საყმით ამისეუბ, საყვარელი შენ დაგჩხეს.— მიდგა მოდგა გუნწულელი, (მარშუეს აღარ იგითსავს)... — ჩემო ემანო სულ აქ მოდიოთ, კოკლი და ბრმა არ დაჩხეს;

შვიდი დღე-ღამე იდინა, აკენად ემსწილ არ დაჩხა, ეშმაკს ბარჩა ეინ მისცა, კოკას ეელში დააგლდა.

— გუნწულელო შიგ ჩაბძინდი, საყვარელი თან ჩაგვეეს; ჩაიტევეს გუნწულელი, ეელს ზარფულში დააჩქეეს, მოიტანეს ბურბუშები, ოთხსავ გუთსივე დაჭედეს...

აიღეს და ზღვას მისცეს... ათას ხუთას წელიწადსა ავი მანე არ გაჩნდეს, აკენის ემსწილს დაემინოს, გულში ფიჭვი ან ჩაჭევეს;

მალაღმ ღმერთმა დასწეველოს მეთეგვე და მებადვე ზღვასი ბადე გადაგდეს, კოკას ეელში გამოხდეს, განჭევის და გამოწივის, ნახირსა გამოგდეს; ერთმანეთს ეუბნებან...

— მალაღმ ღმერთა დასწეველოს, კინც რომ უფხრას ჩვენს, რაც ამში ქონებას შეიღეს ეყოფა, შეიღის შეიღეს...

ამოცვიდნენ ის უშმაკნი: ზოგი ტყესა, ზოგი ღრესა, ზოგი წისკვილს შეკვიდნენ. ვინც წისკვილში ქურდაობა ჰქნას, მისა სული მათ დაჩრქვ.

(შერეხალი ლ. დოლოჯობისაგან.)

ბედ-კრული.

(თარგმანი.)

ამას წინეთ ვ-ს მომიხდა წასვლა, მზე ჩასვლაზე იყო. როდესაც კ—ის სტანციამი მივედი.

— აბა, ბარგი სხვა ტროიკაზე გადაწყვედა ცხენები შეები, უთხარი ერთს იამშიჩის.

— ჯერ ბატონო, მატრიცელს ჰკითხეთ—ჰყავს კი ცხენები? ბიჭო, ნიკოლაე, ემანდ მატრიცელი იქნება სადმე და დაუმხეა!.

გამოვიდა „მატრიცელი“ და ჩვეულებრივს სიტყვებით მომართა: „ცხენები არ გახლავსთო“ თუმცა მინდოდა შემდეგ სტანციამის მაინც მიმეღწია, მაგრამ რაკი ზედა მხედველმა გამომიცხადა, დამის თორმეტ სათამაშინ ტროიკას ვერ შეგებამო—მეც გადასწყვიტე იმ დამეს იქ დარჩომა. სტაროტასა ვსთხოვე საპოვარი დედგა და მე მის მოლოდინში ბალკონზე გამოვიტანე სკამი და დავეჯექი.

სტანცია კ. სოფლის ბოლოს იყო აშენებული. სოფელსა და სტანციას შუა ვერს ნახევარი იქნებოდა. მაღლობზედ მდგომი სოფელი მედიდურად გადმოსტკერო და პაწია სტანციის შენობას სტანციის გარშემო ყანები ბიბინებდენ. ზოგი უყვე გაეჭრათ, ზოგს მკიდნენ. სწორეთ სასამაფნო იყო იმ თავ-გამოდებული მხნე მუშაობის ცქერა, კიყინასა და „ჰოპუნას“ სამხლვარ არა ჰქონდა. აგერ, მეთაურმა თავის სამწყსოს რალაცა გასძახა.—ყველანი მოგროვდნენ, აიშაბაშეს. თხუთმეტ წამსაც აღარ გაუვლია, რომ სტანციის გვერდზედ „ცანგალასა და „ორპირულის“, სიმღერით ამოიარეს ოციოდე მუშამ მეთაურის წინამძღოლობით. ეს მეთაური, თავ-თავისგან შეკრულის ჯვარით ხელში, სწორეთ შუა საუკუნოების გმირსა ჰგვანდა. მე მათ თვალი გავადევნე, ძალა უნებურად ჩემი აზრი მათ შეიპყრეს: დიდს ხანსა ვფიქრობდი ამ ხალხის მძიმე ხედვრზე, ვაი-ვაგლანზე და უგემურს, მაგრამ პატიოსანი შრომით მოპოვებულს ლუკმაზედ.

ამ ფიქრებით გართულს, შორიდან რალაც ჩხარა-ჩხურის ხმა შემომესმა მე ფეხზედ წამოვარდი, დავიწყე აქეთ-იქით ცქერა და ბოლოს დაერწმუნდი,

რომ ჩემი სმენა არ მაცდენდა: თორმეტიოდ ტუსალი, ჯაჭვებით ხელი-ხელს გადამხული მძიმეთ მოაჩხარუნებდნენ ნახევარ ფუთიანს ბორკილებს. მოახლოვდნენ. აქ შეჭვდებოლით შეუნანებელ კაცის მკვლელსაც, გარყენილის საზოგადოების შედეგს, რომლის სახე რალაც გაუგებარის სიმხვეით გამოჰფეთქდა და უხასიათობის მსხვერპლთაც. მართალია დანაშაუვით, მაგრამ მით უფრო საცოდავით, რომ ეს უკანასკნელნი ჰხედდნენ დანაშაულად ჰგრობდნენ და ღროებით მაინც დაეხსნათ თავიანთი მედგარი სხეულისიკედლის, შერცხენისა და უპატიოსნებისაგან. წყალ წალღებული ხაესს ეკიდებოდაო. დაღლილ-დაქანცული, მათ დასტამბოს ფერი-სახე სრულიად მოჰშვებოდათ. გარდა სამი-ოთხისა სხვანი ჩუმათ იყენენ და მხოლოდ გულსაკლავადა გმინავდნენ. ვინ იცის საცოდავები რაზედა ჰფიქრობდნენ?...

მათში ერთი ახალ-გაზდა მალალ-მალალი ქალიც. მის გამხდარ ნაღვლიანს სახეს, სულთ და სხეულით წამულს, მაინც კიდევ არ დაეკარგა ის ღელაებრივი ძალა, რომელსაც სილამაზეს და მიმზიდველობას ეძახიან. მისი შავი მრეტყველი თვალები ერთობ ტანჯულად შემომტკეროდნენ. მის ჩამომხმარს, მაგრამ ეშხიანს სახეზე ამოიკითხავდით განუხაზღვრელს ბოლოს, რომელიც მას, როგორც ეტყობოდა ღრწნიდა. პირველის შეხედვით ამ პატიმარის ქალის ვერავინაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ მშვიდს ქმნილებას შეეძლო მძიმე დანაშაულის მოხდენა. მე მეტისმემად მინდოდა გამეგო ამ ქალის ვინაობა დანაშაული და ამისათვის გავყევი მათ უკან. ტუსალები იქვე, სტანციის ახლო, ერთ სართულიან ეტაპის შენობაში დააბინავეს: კაცები ცალკე შერევეს, ქალს კი მეორე ოთახზე მიუთითეს პატიმართ მცველის უფროსმა ჩემს თხოვნაზე, ნება მოეცა ამ ქალთან საუბრისა, მოწყალებით გადმოჰხედა: მე შემეძლო იმასთან ლაპარაკი.

ცოტა რო დაისვენა მე გამოველაპარაკე ამ ქალს და ბოლოსა ვსთხოვე თავისი თავ-გარდასავალი ეამბნო. ტუსაღმა ნაღვლიანად შემომხედა, თვალებში ცრემლი მოუგებდა, გულმა აჩქარებით დაუწყო ძგერა. უნდოდა რალაც ეთქვა და მღელვარებისაგან ვერ ახერხებდა. ბოლოს როგორც იყო, შეიკავა მწუხარება და მითხრა:

— გიამბოთ, არ გიამბოთ-რა გამოვა?— მხოლოდ დაკოდილს გულს უფრო დაეკოდ, მაგრამ ქრილოზაზედ—მერე!.. მე დავიბადე ქ. მ-ში ერთი შეძღვე-

ბული ვაჭრის სახლში; უმეტესი ნაწილი ჩემის ნათესაობისა აგრეთვე შეძლებული იყო. პაპას, ბებისა, დედ-მამას, ბიძებს — ყველას გაგიჟებით ვუყვარდი: სულ იმის ფიქრში იყენენ რითი და როგორ ესიამოვნებინათ ჩემთვის. ბებია ჩემი ხო — მთელი დღე თავს მევლებოდა. ყველანი ჩემი ტან-საცმელის არ. ჩვენაში იყენენ, ტიკინივით მრთავდნენ, მათამაშებდნენ. ერთს სიტყვით ჩემს სიტყვას დედამიწაზედ არ დაუშვედნენ და ყოველივე ჩემს სურვილს მაშინათვე ასრულებდნენ. სამაგიეროდ კობხტათ ჩაცმისა და კეკლუტობის მეტი მე არა მეთხოვებოდა-რას. კითხვითაც ბებრს არასა ვკითხულობდი, თუ ხელს მოეკიდებდი ისიც რომანს. შრომით ხომ-რა საჭირო იყო ჩემთვის შრომა, როდესაც პირად ჩემს ჩასაცმელ და სასურად მოახლე მყვანდა მოჩენილი.

პაპა ჩემი, მამა ჩემის მამა, თავისთვის ძლიერ კარგათ იყო. სამი დეუქანი, საკუთარი სახლი, ცხვარი ძროხა — მეტი რაღა უნდოდა, მამის ჩემის გარდა პაპას ხუთი შეილიც სხვა ჰყვანდა, მაგრამ მაინც ყველანი ერთად იყენენ, ერთ ოჯახადა სცხოვრობდნენ, ბიძებში მე ყველაზედ უმცროსი ბიძა მიყვარდა, სახელად მიშა. მიშა მარტალია სხვებსავეთ არ მანებირებდა და თხოვნასაც იშვიათად მისრულებდა, მაგრამ მე მაინც ვგრძნობდი. თუ არ მეტად — სხვაზე ნაკლებ მის რომ არ ვუყვარდი, ოჰ, ღმერთო! მე რო იმისათვის დამეჯერებინა, იმისი დარიგება მტკიცედ დამემაჩნა გულში ეხლა ხომ არც აქლა ვიქნებოდი, აქ ამ განდევნილის და შეჩვენებულს ხალხში!.. საცოდავი გაჩუმდა, ნაღვლიანად ჩაჰკიდა თავი და ფიქრებს მიეცა...

— როგორც გამჩნევთ; თქვენ მეტად გამძიმებთ წარსულის მოგონება, ვუთხარი მე.

— გამძიმებთ?!.. ღიას, მიძიმს, ისე მიძიმს წარმოსადგენათაც კი შეუძლებელია მისგან გამოწვეული ტანჯვის მშავისი სხვა სასჯელი. მაგრამ რაც იყო იყო, წარსულის გარდაკეთება და დაბრუნება შეუძლებელია! ესა სთქვა და ისეთი ნაღვლიანად ამოიოხრა, გვეგანებოდათ გული თან ამოჰყვიაო. რამდენიმე წამს დადუმდა, ბოლოს აიღო თავი მაღლა და განაგრძო თავის ნაღვლით სავსე მოთხრობა.

(გაგრძელდება.)

ქანასი.

უ ე ლ ე ტ ო ნ ი

თეატრის კვირა

* * * ერთ სოფელს აღდგომა ჰქვია თელავის უეზღში. ერთმა კაცმა სთხოვა მეორეს ცხენი აღდგომამდი მათხოვეო. მიირთვიო, უთხრა მეორემ: აღდგომამდი ცხენს როგორ დაგიქერო!

ეს იყო იანვარში. წაიყვანა ამ კაცმა ცხენი და დიდმარხვის მესუთე კვირაში დაუბრუნა პატრონს მაღლობის თქმით. რა მიყავ, კაცო, ესა! განა გაჩუქე რომ ამდენი ხანი ხედიდიო! უსაყვედურა გაჯაერებით ცხენის პატრონმა. რათა, ძმაო! შენ აღდგომამდი მათხოვე ცხენი და ჯერ სად არის აღდგომა, კიდევ რამდენიმე დღე აკლიაო, მე მეგონა, ადრე მიუყვან, კვლავაც მათხოვებს მეთქი და შენ მიჯაერდებიო?

* * * .. იმიდიოდა ერთხელ დილა აღრიანად საღვთის სასესხებლად. წინ ბანქოს ნათამაშები ი... ა შამოხვდა — დაეტაკა გულზედ და თვალებში ჩააშტერდა.

შემკრთალმა ა..იმ შესძახა:

— ხომ არ გაგიჟებულხარ კაცო! რას მამშტერებიხარო?

— ოჰ! შე დალოცვილო პიკის ტუზიმეგონეო. — უთხრა ი..ამ.

* * * ერთხელ ზამთარში იმერელს ესტუმრა შორეული მეგობარი ე. იმერელი შეძლების გვარად გაუმსახინძლდა შორეულს სტუმარს. რა თქმა უნდა, სადილათ სწავთა — შორის ჩამოარიგეს ღომი. — შორეულმა როგორც უჩვევმა, უცბათ წაატანა ხელი ცხელს ღომს და ერთი ზორბა ლუკმა მოსტება. ღომმა ხელი დასწვა; სიჩქარით პირში ჩაიგდო, პირს უარესი დამართა მოზდილი ღომის ლუკვამ; გადაყლაპა თუ არა — ხახა მთლად ჩაუთუთქა, თითქმის მუტეცლსაც მოეღო. ამ დროს სტუმარმა ნაბადი გადირო და შორს გადააგდო (სიცივისა გამო ნაბადში იჯდა).

— რას შერებით? ჰკითხა მასპინძელმა, ხომ შეგცივდებათ?

— რა ვქნა, ძმაო? მე კი დამწვა ამ ღომმა და მეშინია ოც-და-ხუთ მანეთიანი ნაბადიც არ დამიწვასო!.. წაილულლულა პირ-გამოთუთქულმა სტუმარმა.

სალსურნი თქმულებანი.

ერთხელ წყალ-დიდობას მოხისელები ჩამოვიდ-
ნენ მტკვარზედ სათევზაოდ, დაინახეს ალელვებულს
წყალში მომავალი ტივი და გაქანებული მაშინა
წყლის მეორე ნაპირას. მაშინა სტანციას უახლოე-
დება და დაშტვენას აპირებდა. ფაცხა-ფუცხით დაოდაგ-
დეს ბადე და შევყვირეს მეტივეს: «კაცო, დააყე ტი-
ვი, პარანოტმა არ დაგიბრიყვოსო!»!

ერთხელ მოხისელებმა სადღაც ღუქანში დამყა-
ვებული ქარხალი სკამეს და ძალიან მოეწონათ.
რომ ჩაიცმატურეს პირი მელდუქნეს დაეკითხნენ: «ძმო-
ბილო, რაში ამყავებო ამ ქარხალსოა», მელდუქნე მიხ-
ვდა იმათ ხეპრეობას და სიცილით უთხრა: «კაცო,
და ეგ როგორ არ იცი? დამდგარი ტბა და მაგის
ჯანიო! მაგაზედ ადვილი რაღააო», იკისრეს მო-
ხისელებმა და ფრფენეს ტბა ამოამსეს ქარხლითა-
ერთი კვირის შემდეგ მოვიდნენ თავის ნაწილის სა-
ნახაეთ და ერთი უფრო გამოცდილი კაცი შეგზავ-
ნეს ტბაში, რომ ენახა დამყავდა ქარხალი, თუ არა.
საბრალო იხრჩობოდა და ხელებს აფანცხალებდა.
მოხისელებს ეგონათ გვიძახისო და გაღაემუნენ ტბა-
ში ყველანი.

მოხისელები ბატონმა სამკლად გაგზავნა. მზე
რომ გადინარა ბიჭების ხელით ბატონმა დამპალი
შავი ყურძენი გაუგზავნა. ყურძენს ბოსტანა ჭია
დაპხვეოდი, და ფუთ-ფუთი გაჰქონდა. წამოყარეს
მოხისელებმა ყურძენი და ერთ-მანეთს ეუბნებოდნენ
«ფენიანი, ბიჭო, თორემ უფენო სად წავივიაო!».

«თეატრის» ფოსტა.

ქუთაისში ბ-ნს მასწავლებელს. თქვენი წერილი მივი-
ღეთ და დიდათ გმადლობთ თანაგრძობისათვის. გარწმუნებთ,
რომ ასეთი ცვლილებით არავითარი განსხვავება არ
დაეწყება გაზოს. მაგაში თქვენ თვითონ მალე დარწმუნდებით.
ბ-ნს ვთქვით თქვენ წერილი ნაწილ-ნაწილად დაი-
ბეჭდება.

ბ-ნს კ. თეკლათელს. თქვენი წერილი თავის დროზე
დაბეჭდილი იქნება.

ბ-ნს ქაიხოსრო კელოვანს. თქვენი ლექსი დაიბეჭდე-
ბა, თუ მიზეზი არ მოგვეცა...
ოზურგეთში — ბ-ს — ყ-ს. თქვენი წერილები მივი-
ღეთ, დიდათ გმადლობთ. თავის დროზე დაიბეჭდებიან.

ძ. სენაკში ბ-ნს ლ. ფრიდონელს. გმადლობთ წერი-
ლისათვის, ხოლო შემდეგისათვის გთხოვთ, რომ ცოტა სო-
მა შეუძლიათთ ფელტონებს, რადგან ადვილი მეტად ძვი-
რობს ჩვენს გაზეთში: თქვენი პირველი ფელტონი დაიბეჭდება
შესწორებით.

ქვემოკლასში ბ-ნს ნიკო ლ — იეს. თქვენი წერილი
მივიღეთ. თავის დროზე დაბეჭდილი იქნება. მეგობრული რჩევა:
ნუ ჩქარობთ, ამით სულელების მეტს ვერავის გააყვირებთ.

სოფ. ბასკში (გურიაში) ნ — ია ქ — მეს რედაქცია ამ
შემთხვევაში პირ-მართალი გახლავსთ, მაგრამ ჩვენ. მაინც შე-
ვასრულებთ თქვენს თხოვნას.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

იბეჭდება და სექტემბრის პირველს რიცხვებში გამოვა, —

„ქართული წერის დედანი“

კ. გაბაჩავაძისა.

(გამოცემა .ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1 მსხვილი გადაუბეჭდილი ხელი
ბადეში თავის ელემენტებით; 2 დაშტვენებული-საშუა-
ლო მერგვადი ხელი უბადეოდ ოთხის საზში; 3, გადამ-
ბეჭდილი სწორედ (აღმაცურად) ნაწერი სუსხური ხელი სამს
საზში და 4 გადასრილი (наклонный) გაკრული სუ-
სხური ხელი ბადეში — ვერ გადაუბეჭდად და შედეგ სამს
საზში გადაბმით. — დედანს აქვს სულ 24 გვერდი. დედან-
ის ფასი — 30 კაპ. ვინც ოცდაათსახე შეტს იყიდის გ-
რემს. დაეთობა 24 კაპ. (3—3)